ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4128505

ნომერი: AR1621566

თარიღი : 07.08.2018

გაცემის თარიღი : 21.08.2018

გაცნობის თარიღი : 22.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 4/10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელია პ/ნ 01008016809
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 24"ა" ბ. 79

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,კონფიდენს გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2052279884
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოზგურ დურდაბაქ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01197002613

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ჯონი გიგინეიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 07 აგვისტოს AR1621566 განცხადება. გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (09.08.2018 წლის ოქმი N32), რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი რეკომენდაცია მიეცა ქ. თბილისში, ერეკლე II ქ. N4/10-ში (ძეგლი) არსებული შენობის რეაბილიტაციის (დაშლა-აღდგენა) პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები მიეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაცხადის დარეგისტრირებისას შერჩეული უნდა იქნას შესაბამისი ნომენკლატურა: ელექტრონული განაცხადები >მშენებლობის ნებართვა > კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი > სარეაბილიტაციო სამუშაოები და წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია. (გეძლევათ ნომეკლატურის ცვლილების უფლება)
- არ არის წარმოდგენილი მოთხოვნის ტექსტში მითითებული დოკუმენტაცია, კერძოდ: კონსტრუქციული დასკვნა, რომლის მიხედვითაც არსებული შენობის გამაგრებას მიეცა უარყოფითი შეფასება, შენობის დღევანდელი მდგომარეობის აღწერით, რეკომენდაციებით.

-წარმოდგენილი იქნას სრული კონსტრუქციული პროექტი.

- პროექტში არ ფიქსირდება საკადასტრო საზღვრები.

-წარმოდგენილი იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა დამცავი ღობის მოიწყობასთან დაკავშირებით.

-პროექტში ნახსენებია სადემონტაჟო სამუშაოები. გთხოვთ სიტყვა "დემონტაჟი" ჩაანაცვლოთ სხვა ტერმინით. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა)დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ)რესტავრაცია; ე)რეკონსტრუქცია; ვ)ადაპტაცია. შესაბამისად, პროექტში და მშენებლობის ორგანიზების პროექტში "სადემონტაჟო სამუშოები" არ უნდა იყოს მითითებული. ხოლო, ამავე კანონის 26 მუხლის შესაბამისად ,,უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა''

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge